ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №19

ქ. რუსთავი 21 მარტი 2023 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ეკატერინა ხუციშვილის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „მზია ნოზაძე" (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მზია ნოზაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. CPV31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა; CPV 31400000 - აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები; CPV31600000 - ელექტრომოწყობილობები და აპარატურა; CPV44100000-სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები; CPV44500000-ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები (შემდგომში საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს - **675,00** (ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარს დღგ-ს გარეშე, დანართი №1-ის შესაბამისად;

2.2. დაფინანსების წყარო: 100% ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

3. ანგარიშსწორება

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, ნაერთი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

3.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ადგილი - გაერთიანების ფილიალები, დანართი №2-ის შესაბამისად;

4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2023 წლის 24 მარტის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ცალკეული ლოკაციების მიხედვით, საქონლის მიღება განხორციელდება სასაქონლო ზედნადებისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები: შესაბამისი ფილიალის გამგე, მენეჯერი და სამეურნეო ნაწილის გამგე.

5.3. „5.1." პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები) საფუძველზე მხარეთა შორის ფორმდება ნაერთი მიღება-ჩაბარების აქტი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში დროულად ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობისას,

გ) ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება,

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მიწოდებისას გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, შეტყობინებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს, გაერთიანების დირექტორის მოადგილე - გიორგი ბოჭორიშვილი და გაერთიანების ინფრასტრუქტურისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის განყოფილების უფროსი - გიორგი მაჭარაშვილი;

7.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია;

ა) მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება,

ბ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება,

გ) ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით.

7.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზისა და ნაკლოვანებების გამოსწორება ხდება მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯებით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;

10.3. დაუშვებელია ხელშეკრულების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.6. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;

10.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის წესით.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია 2023 წლის 21 მარტიდან და მოქმედებს 2023 წლის 28 აპრილის ჩათვლით.

შემსყიდველი

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“
მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20
ს/კ 216439325
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
დირექტორი
ეკატერინა ხუციშვილი

Ekaterina Khutsishvili
Digitally signed by Ekaterina Khutsishvili
Date: 2023.03.21 15:13:40 +04'00'

მიმწოდებელი

ი/მ „მზია ნოზაძე“
მის: ქ. რუსთავი, მე-16 მიკრო-რაიონი
ს/კ: 11001012137
თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE53TB7152845061100049
მზია ნოზაძე

Mzia Nozadze
Digitally signed by Mzia Nozadze
Date: 2023.03.21 15:09:27 +04'00'

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	გან-ბა	რ-ბა	ერთ. ფასი (დღგ-ს გარეშე)	საერთო ფასი (დღგ-ს გარეშე)
1	2	3	4	5	6	7
1	31212000	ავტომატური ამომრთველი 114-002-3050 3P 50A C 4.5KA 400V MCB	ცალი	1	30,00	30,00
2	31212000	ავტომატური ამომრთველი 114-002-3063 3P 63A C 4.5KA 400V MCB	ცალი	6	39,00	234,00
3	31212000	ავტომატური ამომრთველი 114-002-3100 3P 100A C 4.5KA 400V MCB	ცალი	3	70,00	210,00
4	31218000	სალტე "N"დამიწება-ნული იზოლატორით DIN-რეიკაზე 6x9мм 12 ჯგუფით SQ0801-0029 TDM	ცალი	1	8,00	8,00
5	31218000	სალტე "N"დამიწება-ნული იზოლატორით DIN-რეიკაზე 6x9мм 8 ჯგუფით SQ0801-0027 TDM	ცალი	1	6,00	6,00
6	31219000	ელ. დამცველის ყუთი 24-ნი ჩასასმელი	ცალი	1	45,00	45,00
7	31224400	შემაერთებელი კაბელები-შინა bus bar 3p	ცალი	1	45,00	45,00
8	31440000	ელემენტი PKCELL Extra Heavy Duty 4 pcs shrink, Zinc AA	ცალი	6	2,00	12,00
9	31651000	საიზოლ. ლენტი 20მ შავი იტ-8165	ცალი	3	4,00	12,00
10	44167200	პლასტმასის ცალუღი (ხამუთი)	ცალი	1	7,00	7,00
11	44522400	კარის საკეტის გულანა ლითონის	ცალი	3	10,00	30,00
12	44522400	მეტალოპლასტმასის კარის საკეტეი (ისპანიოლეტი) TTS 180	ცალი	2	18,00	36,00
ჯამი						675,00

დანართი №2

საქონლის განაწილება

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზ	რაოდენობა					
				სულ	მ.შ. ლოკაციების მიხედვით				
					№10	№31	№36	№40	№41
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	31212000	ავტომატური ამომრთველი 114-002-3050 3P 50A C 4.5KA 400V MCB	ცალი	1	-	-	-	-	1
2	31212000	ავტომატური ამომრთველი 114-002-3063 3P 63A C 4.5KA 400V MCB	ცალი	6	1	-	1	1	3
3	31212000	ავტომატური ამომრთველი 114-002-3100 3P 100A C 4.5KA 400V MCB	ცალი	3	-	-	1	-	2
4	31218000	სალტე "N"დამიწება-ნული იზოლატორით DIN-რეიკაზე 6x9мм 12 ჯგუფით SQ0801-0029 TDM	ცალი	1	-	-	-	-	1
5	31218000	სალტე "N"დამიწება-ნული იზოლატორით DIN-რეიკაზე 6x9мм 8 ჯგუფით SQ0801-0027 TDM	ცალი	1	-	-	-	-	1
6	31219000	ელ. დამცველის ყუთი 24-ნი ჩასასმელი	ცალი	1	-	-	-	-	1
7	31224400	შემაერთებელი კაბელები-შინა bus bar 3p	ცალი	1	-	-	-	-	1
8	31440000	ელემენტი PKCELL Extra Heavy Duty 4 pcs shrink, Zinc AA	ცალი	6	-	-	-	-	6
9	31651000	საიზოლ. ლენტი 20მ შავი იტ-8165	ცალი	3	-	-	1	1	1
10	44167200	პლასტმასის ცალუღი (ხამუთი)	ცალი	1	-	-	-	-	1
11	44522400	კარის საკეტის გულანა ლითონის	ცალი	3	1	2	-	-	-
12	44522400	მეტალოპლასტმასის კარის საკეტეი (ისპანიოლეტი) TTS 180	ცალი	2	-	2	-	-	-